საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№804 2020 წლის 13 მაისი ქ. თბილისი

„2011-2012 წლებში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ეტაპების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის №1881 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „2011-2012 წლებში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ეტაპების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის №1881 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის:

ა) „დ“-„დ[1]“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ჯანდაცვის მიმართულების (კოდი – 09) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 31 დეკემბერი;

დ[1]) სამართლის მიმართულების (კოდი – 06) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 15 მარტი;";

ბ) „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (კოდი – 05) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 15 მარტი;".

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**